

შპს „ფრეგატ-ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფრეგატ-ჯორჯია“ ს/კ 406031743 საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დაარსდა 2010 წელს. რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ეკა ბეჟანიშვილის ქ 17, ბ-16.

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, სამხრეთ ფარეხის ქ 10

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 15 ადამიანს.

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენდნენ: გიორგი აფციაური პ/წ 01024056553 -50%,

დავით ნოდარიშვილი პ/წ 01019005339-50%, მაგრამ 2021 წლის 21 ოქტომბრიდან შეიცვალა

ერთი დამფუძნებელი დავით ნოდარიშვილი(გარდაცვალების გამო) და კომპანიის მეორე

დამფუძნებელი გახდა გურამ ნოდარიშვილი FH392462. კომპანიის ძირითად საქმიანობას

წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ლითონის მასალებით.

2. შედგენის საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

2.1 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.2 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია.

3.1 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული პროცენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- შენობა ნაგებობები - 5 %
 - ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%
- მიწის ნაკვეთს ცვეთა არ ერიცხება

3.2 არამატერიალური აქტივი

კომპანიას აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა „ორისი“, რომელიც აღებულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.5 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3.6 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშზე.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით.

2023 წელს მოხდა საშემოსავლო დეკლარაც. საპენსიო ფონდთან შედარება, ადგილი ჰქონდა ხარვეზებს, აქედან გამომდინარე დაკორექტირდა 2020 და 2021 წლის საშემოსავლო და საპენსიო დეკლარაციები (დაკორექტირდა 2023 წელს) , გაიზარდა საპენსიო გადასახადის ხარჯი, შედეგად შემცირდა 2020 და 2021 წლის მიმდინარე წლების მოგება. ამიტომ 2022 წლის გაუნაწილებელი მოგება დახარვეზდა-შემცირდა 14517 ლარით,

3.9 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი, ან გადაეცემა საკუთრების უფლება. მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შედეგებით.

3.10 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და ეკონომიური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

4 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 31 დეკემბერს.

შპს „ფრეგატ-ჯორჯია“-ს დირექტორი
გ. აფციაური



შპს "ფრეგატ-ჯორჯია"-ს 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება		
	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	13608897	13886346
სხვა შემოსავალი	34703	36581
გაყიდული/შემენილი საქონელი	-9688139	(9784635)
დასაქმებულთა ანაზღაურება	-802392	(1396740)
ცვეთა და ამორტიზაცია	-19736	(24892)
იჯარის ხარჯი	-130396	(142876)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-542776	(390315)
საპროცენტო ხარჯები	-44966	(177038)
კურსთა შორის სხვაობა და სხვა არასაოპერ. ხარჯები	-35506	(34895)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	107535	33880
პერიოდის მოგება	2487224	2005416
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	-14517	
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	4645645	2640229
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	7118352	4645645

წინა პერიოდის შეცდომების გამოსწორებაში იგულისხმება ის რომ 2023 წელს საპენსიო ფონდთან შედარების შედეგად დაკორექტირდა 2020 და 2021 წლის საშემოსავლო და საპენსიო დეკლარაციები, (კორექტირება მოხდა 2023 წელს), რის შედეგადაც გაიზარდა საპენსიო გადასახადის ხარჯი და შესაბამისად შემცირდა წლის მოგება და გაუნაწილებელი მოგება

შპს "ფრეგატ-ჯორჯია"-ს 2022 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი
აქტივები		
ფულადი სახსრები	4437868	3056815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1676610	877962
გადახდილი ავანსები	943335	860541
მარაგები	4057204	3734160
ძირითადი საშუალებები	103185	115084
არამატერიალური აქტივი	859	859
სულ აქტივები	11219061	8645421
ვალდებულებები და კაპიტალი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	84453	183768
საგადასახადო ვალდებულებ	97196	15049
ბანკის მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის გრძელვადიანი ვალდებულებები	3919060	3800960
გაუნაწილებელი მოგება	7118352	4645645
სულ ვალდებულებები	11219061	8645422

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები 2022 წელი	
ტრანსპორტირების და მიწოდების სხვა ხარჯები	71157
მრომის ანაზრაულება მომსახურებაზე	302165
საკანცელარიო ხარჯები	446
სხვა საერთო ხარჯი	126319
რეკლამის ხარჯები	6206
საპენსიო ფონდი დანარიცხები	12611
სადეზინფექციო და დასუფთავების ხარჯები	721
გაყიდული საქონლის უკან დაბრ. და ფასდათმობა	21673
კომპიუტერის და ინტერნეტის ხარჯი	763
ქონების გადასახ. ხარჯი	715
	542776

ძირითადი საშუალებები 2022 წელი						
ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა	იჯარის კეთილმოწყ ობა	ნაგებობა	სულ ჯამი
2022 წლის 01 იანვარი (2021 წ. საბალ. ღირებ+2021 წ ცვეთა)	9,714.86	64,213.23	4,859.80	60,359.45	907.45	140,054.79
შემოსავალი			2,179.67	5,483.94		7,663.61
გასავალი						
2022 წლის 31 დეკემბერი	9,714.86	64,213.23	7,039.47	65,843.39	907.45	147,718.40
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2022 წლის 01 იანვარი (წინა წლის ცვეთა 2021)	1,942.97	12806.18	963.13	9,038.44	45.37	24,796.09
წლის ცვეთა (2022 წლის)	1,028.02	10,206.27	761.25	7,698.13	43.1	19,736.77
სულ ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერი	2,970.99	23,012.45	1,724.38	16,736.57	88.47	44,532.86
წმინდასაბალანსო ღირებულება 2020 31.12	6,743.87	41,200.78	5,315.09	49,106.82	818.98	103,185.54